ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03. 37223562**
თარიღი:**22/12/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 20 დეკემბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი.

კომისიისა და არასამთავრობო სექტორის მიერ მიმდინარე წლის 25 ნოემბერს წარმოდგენილი შენიშვნების, წინადადებების და რეკომენდაციების შეჯერების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე დასკვნა, რომელიც ჩამოყალიბდა ქვემოთ მოცემული სახით:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადით შემოსულობები განსაზღვრულია 34 480,0 ათასი ლარით, რაც ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიაში წარმოდგენილ შესაბამის მაჩვენებელზე 831,0 ათასი ლარით მეტია და იგი 2022 წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიური დონის 124,0%-ია. ბიუჯეტის შემოსავლების 90%-ზე მეტი მოდის გადასახადებზე, ხოლო გრანტებიდან მისაღები შემოსავლების წილი განსაზღვრულია 0,9%-ით.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით საბიუჯეტო ასიგნებების საერთო რაოდენობა 30605,1 ათას ლარს შეადგენს. არაფინანსური აქტივების ზრდაზე განსაზღვრულია 3760,0 ათასი ლარის წარმართვა და მისი ხვედრითი წილი 2023 წლის ბიუჯეტში შეადგენს 11%-ს.

3. 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 2023 წლის ბიუჯეტში ხარჯები გაზრდილია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების, საბინაო კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებებით; განსაკუთრებით აღსანიშნავია მნიშვნელოვანი ზრდა სკოლამდელი განათლების დაფინანსებისა და კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროში(პირველ შემთხვევაში ზრდა შეადგენს 1980,0 ათას ლარს, ხოლო მეორე შემთხვევაში 938,9 ათას ლარს).

4. სარეზერვო ფონდის მოცულობა კანონმდებლობით განსაზღვრული მაქსიმალური რაოდენობის თითქმის ნახევარს შეადგენს და ბიუჯეტის პროექტში განსაზღვრულია 350,0 ათასი ლარის ოდენობით.

წინამდებარე დასკვნის მომზადების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბიუჯეტის მიმართ დაფიქსირებული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მერიის მიერ გათვალისწინების თუ არგათვალისწინების ანალიზს. აღმოჩნდა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ წარდგენილი

შენიშვნები სრულად იქნა გათვალისწინებული, ამასთან ერთად არასამთავრობო სექტორის რეკომენდაციები გათვალისწინებულია სრულად ან ნაწილობრივ მაინც. სასურველია რამდენიმე მიმართულებით გააქტიურდეს კონსულტაციები სათანადო რესურსების დამატებით მოზიდვის მიზნით. მათ შორის:

- ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში საგამოფენო ექსპოზიციისა და შიგა ინტერიერის მოწყობისათვის;

- დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური რესურსების დამატებით მიღებისათვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ იმსჯელა მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის შესწორებული ვარიანტის პროექტზე და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი